შეთანხმება №14/02-216/117ც

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-216 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

12 აპრილი, 2017 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის, **ნინო ინწკირველის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ვალერი კვარაცხელიას** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თამაზ მოდებაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“ მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-216 ხელშეკრულების 9.2 პუნქტისა მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 12 აპრილის №04/23087 (სააგენტოში რეგისტრაციის №66098, 12.04.2017წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს დადებული №14/02-216 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, მასში ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

ხელშეკრულების 9.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის პირველი იანვრიდან და ძალაშია 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

3.2 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.3 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

4.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

4.3 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

ნინო ინწკირველი

ვალერი კვარაცხელია

თამაზ მოდებაძე